**ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი**

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და ა(ა)იპ ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრს შორის საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის - სიმართლისა და ეროვნული თანხმობის პროცესის ხელშეწყობისათვის**

ქ. თბილისი 2021 წლის 24 დეკემბერი

ერთი მხრივ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (შემდეგში - ადმინისტრაცია), წარმოდგენილი ადმინისტრაციის უფროსის ნათია სულავას სახით, და, მეორე მხრივ, ა(ა)იპ ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი (შემდეგში - ცენტრი), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის ნათია კაციაშვილის სახით, ერთობლივად წოდებულნი „მხარეებად", ხოლო ცალ-ცალკე წოდებულნი „მხარედ",

**ითვალისწინებენ რა:**

- 2021 წლის 10 დეკემბერს აშშ-ს პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის მიერ ორგანიზებულ „სამიტზე დემოკრატიისთვის" საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიერ გამოთქმული ინიციატივის - სიმართლისა და ეროვნული თანხმობის პროცესის (შემდეგში - პრეზიდენტის ინიციატივა) მხარდაჭერის აუცილებლობას,
- პრეზიდენტის ინიციატივის განხორციელების მოსამზადებელ ეტაპზე ეფექტიანი, ინკლუზიური საჯარო კონსულტაციებისათვის სათანადო გამოცდილების მქონე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობისა და აუცილებელი რესურსების მობილიზების საჭიროებას,
- ცენტრის, როგორც აპოლიტიკური, ნეიტრალური და მიუკერძოებელი კერძო-საჯარო დიალოგის ხელშემწყობის სათანადო გამოცდილებას სიმართლისა და ეროვნული თანხმობის პროცესების კვლევისა და საჯარო პოლიტიკის აღნიშნულ თემაზე დიალოგის ფასილიტაციის სფეროში,

**თანხმდებიან:**

## მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი და ამოცანები

1.1. ამ მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობის მიზანია საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის განხორციელების დროული და ეფექტიანი ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების იდენტიფიცირება, კონსულტანტთა სამუშაო ჯგუფის შექმნა და მისი საქმიანობის უზრუნველყოფა, რომლის მოვალეობა იქნება საქართველოს პრეზიდენტისათვის რეკომენდაციების მომზადება პრეზიდენტის ინიციატივის განხორციელების სტრატეგიის, ძირითადი მიმართულებებისა და რისკების მართვის საკითხებზე;
- საპროექტო გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც კონსულტანტთა სამუშაო ჯგუფის ჩართულობით უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერას სექტორული შეხვედრებისა და საჯარო კონსულტაციების, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მედიაციის ღონისძიებების წარმართვაში;
- სიმართლისა და ეროვნული თანხმობის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით კონფერენციის ორგანიზება;
- პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან კოორდინაციით სოციოლოგიური კვლევის ორგანიზება;
- პრეზიდენტის ინიციატივის სათანადოდ გაშუქება საერთაშორისო მედიაში;
- საქართველოს პრეზიდენტისათვის ანგარიშის მომზადება, რომელიც შეაჯამებს მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარებული სექტორული შეხვედრების, საჯარო კონსულტაციებისა და კვლევების შედეგებს და კონსულტანტთა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს;
- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა პრეზიდენტის ინიციატივის მხარდამჭერი საქმიანობის დაფინანსების მიზნით;
- მხარეთა შეთანხმებით ყველა იმ ამოცანის შესრულება, რომელიც ხელს შეუწყობს პრეზიდენტის ინიციატივის ეფექტიან განხორციელებას.

1.2. ეს მემორანდუმი არ წარმოშობს მხარეთა შორის რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებას და არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას ან/და წინარე ხელშეკრულებას.

## მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმატი

საქართველოს პრეზიდენტისაგან თანხმობის მიღების მიზნით, ცენტრი რეგულარულად წარუდგენს მას მოკლე- და საშუალოვადიანი საქმიანობის გეგმებს, დამტკიცებულ გეგმებში შესატან ცვლილებათა პროექტებს და საერთაშორისო დონორებისათვის გასაზიარებელ საპროექტო განაცხადებს.

## მუხლი 3. კონფიდენციალურობა, გამჭვირვალობა და ანგარიშგება

3.1. ცენტრი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მხარეთა თანამშრომლობისას მიღებული კონფიდენციალური და მგრძნობიარე საკითხებზე ინფორმაციის დაცვა და მესამე მხარეებთან გაამჟღავნოს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით.

3.2. ცენტრი უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის, კვლევითი და ანალიტიკური მასალის, დოკუმენტაციის, მათ შორის, საპროექტო და ფინანსური დოკუმენტების საქართველოს პრეზიდენტისათვის სრულ ხელმისაწვდომობას როგორც მემორანდუმის მოქმედების პერიოდში, ისე მისი დასრულებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

3.3. ცენტრი კალენდარული კვარტლის დასრულებიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს ანგარიშს ამ მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

## მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ამ მემორანდუმში ცვლილებების შეტანა და მისი მოქმედების ვადის გახანგრძლივება.

## მუხლი 5. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

5.1. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ცვლილება-დამატება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და არის მემორანდუმის განუყოფელი ნაწილი.

## მუხლი 6. მემორანდუმის შეწყვეტა

6.1. ეს მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარესთან წერილობითი შეტყობინების არანაკლებ ერთი თვით ადრე გაგზავნის შედეგად.

6.2. მემორანდუმის შეწყვეტის შემდეგ მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ მემორანდუმის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შეუფერხებლად დასრულებას.

## მუხლი 7. დავის გადაწყვეტის წესი

მემორანდუმის ფარგლებში წარმოქმნილი დავის გადაწყვეტა უნდა მოხდეს მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

## მუხლი 8. სხვა პირობები

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

## მუხლი 9. მხარეთა ხელმოწერები

ამ მემორანდუმის პირობებზე შეთანხმების დასადასტურებლად მემორანდუმს ხელს აწერენ:

| | |
|---|---|
| **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია** | **ა(ა)იპ ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი** |
| **მისამართი: ქ. თბილისი, ათონელის ქ. N25** | **მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N76** |
| **საიდენტიფიკაციო კოდი: 204455446** | **საიდენტიფიკაციო კოდი: 404852361** |
| **ადმინისტრაციის უფროსი** | **აღმასრულებელი დირექტორი** |
| **ნათია სულავა** | **ნათია კაციაშვილი** |